№ 256 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, ნოემბრის 11 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 800 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83

სახელმწ. თეატრი.

11 ნოემბერს

აბესალომ და ეთერი

12 ნოემბერს მიხ. მორდკინის საბალეტო საღამო.

კოპელია

13 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის.

ტოსკა

14 ნოემბერს. **კარმენი**

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

972 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, ნოემბრის 11-ს.

ოტელო

შექსპირისა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. რეჟისორი აკაკი ფალავა.

შაბათს, ნოემბრის 13-ს **მსხვერპლი** — ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვარის ვალ სიდამონ-ერისთავისა.

რეჟისორი ალ. წუწუნავა.

ბილეთები კასაში. 971 2—2

ფოთის ქალაქის გამგეობა

ეძებს ქალაქის დაბალ სკოლებისთვის.

ინსტრუქტორს.

თხოვნები უნდა გამოგზავნილ იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე. მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს მომავალ მუშაობის გეგმა cuppicutum vitae და პედაგოგიური სტაჟი. ჯამაგირი 18.000 მანეთი თვეში. თხოვნების მიღების უკანასკნელი ვადა 15 ნოემბერი.

3602 2—2

განცხადება

თელავის სამაზრო ერობის გამგეობა აცხადებს,

რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად 15 ნოემბრიდან 1920 წ. იწყობა 1900 წელში დაბადებულთა გაწვევა სამხედრო ბეგრის მოსახდელად.

1) 1900 წელში დაბადებულთა შესამოწმებლად თელავის მაზრა გაყოფილია 3 ნაწილად.

1 ნაწილში შედიან წინანდლის, აკურის, ვაჩნაძიანის და ურიათუბნის თემის სოფლები და უნდა გამოცხადდნენ 15 ნოემბერს დილის 8 საათზე.

2 ნაწილში შედიან ქალ. თელავი და კურდღელაურის, რუისპირის, და ზემო-ხოდაშნის თემის სოფლები და უნდა გამოცხადნენ 18 ნოემბერს დილის 8 საათზე.

3 ნაწილში შედიან ძველ-გავაზის, ახალ-გავაზის, ყვარლის, შილდის, ენისლის, ნაფარეულის, ფშავლის, ქვემო ალვანის და ზემო ალვანის თემის სოფლები და უნდა გამოცხადდნენ 21 ნოემბერს დილის 8 საათზე.

2) ყველა ზემო აღნიშნულ თემთა და თელავის მცხოვრებნი, 1900 წელში დაბადებულნი და მათზე უფროსნიც რომელთაც შარშან ვადა გაუგრძელდათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ნაჩვენებ ვადაზედ მიმღებ კომისიაში ქ. თელავში ერობის სამხედრო განყოფილებაში.

დაწესებულებანი და კერძო პირნი მოვალენი არიან დაუყონებლივ გაანთავისუფლონ გასაწვევი პირნი, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

4) სამხედრო სამსახურში მიღებული ახალ გაზრდანი არავითარ შემთხვევაში სახლებში დათხოვნილნი არ იქნებიან.

5) ერთად-ერთი ოჯახის მარჩენელნი, თანახმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, განთავისუფლებულნი იქნებიან ჯარში გაწვევისაგან ლაშქარში ჩარიცხვით. თუ ისინი წარმოადგენენ 1920 წ. 15 ნოემბრამდე ამის შესახებ მოწმობებს-თელავის სამაზრო ერობის მიერ მიცემულს 15 ნოემბრის შემდეგ შეღავათი აღარავის არ მიეცემა.

6) საშუალო სკოლის მოწაფეთ, რომელნიც წარმოადგენენ 15 ნოემბრამდე 1920 წ. სათანადო მოწმობებს სამხედრო ბეგრის ვადა გაუგრძელდებათ 21 წლამდე.

7) ვინც ზემო ნაჩვენებ ვადაზე არ გამოცხადდება მიმღებ კომისიაში, პასუხისგებაში იქნება მიცემული, 1919 წლ. 2 აგვისტოს მიღებულ სამხედრო ბეგრის აღსრულებისა და ამ დანაშაულის დაფარვის წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტის ძალით.

988 3—2

სახელმწიფო კონტროლი

ამით აცხადებს

რომ ამა წლის 15 ნოემბერს, ორშაბათს დილის 12 საათზე

ტფილისის ყოფილ საკონტროლო პალატის შენობაში, რომელიც იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზე № 28

შესდგება მეორე სიტყვიერი ვაჭრობა 1.500 ფუთ არა საჭირო ქაღალდების გასასყიდათ რისთვისაც დაშვებულია დახურულ განცხადების შემოტანაც.

იმათ ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში ვალდებული არიან წარმოადგინონ დანიშნულ დროისთვის და საათისთვის, როგორც თავისი განცხადება, ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილისა, აგრეთვე დახურული განცხადებანიც; სადაც უნდა იყოს აღნიშნული ფასი ფუთზე, რამდენადაც სურთ შეიძინონ მატერიალი, ბინადრობის ადგილი, სახელი და გვარი თანდართული თანხით 50.000 მ. ვაჭრობის პირობების გაგება შესაძლებელია იქვე ყოველ დღიურათ დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

3615 1—1

ოფიციალური განყოფილება.

ბრძანებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

2 ოქტომბერი, 1920 წ., № 300.

დათხოვნილ იქმნას: სრულიად სამსახურიდან ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროსი თანაშემწე სერგო მიხეილის ძე ფარეიშვილი ამა წლის ოქტომბრის 14-დან.

№ 301.

დაინიშნოს: ტფილისის ხაზინის პირველ ხარისხის მოლარედ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პაშიკოვი ამა წლის ნოემბრის 1-დან.

3 ნოემბერი, 1920 წ., № 322.

დანიშნულ იქმნას: ოზურგეთის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ვლადიმერ ემილიანის ძე ვოლკოვი ამავე ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 ნოემბრიდან.

4 ნოემბერი, 1920 წ., № 323.

დაინიშნოს: სენაკის ხაზინის მოანგარიშეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი ტიტე საჯაია ამა წლის ნოემბრის 1-დან.

№ 325.

დაინიშნოს: სამურზაყანოს აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ბაგრატ სესირკვის ძე ლაკერბაია ამა წლის ნოემბერს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. ავალიანი.

—

საბაჟოს ნაწილის უფროსისა.

6 ოქტომბერი 1920 წ., № 95.

დათხოვნილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, ანაკლიის საბაჟოს გამგის თანაშემწე შენგელია 18 თებერვლიდან 1919 წ.

№ 96.

დათხოვნილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, სადახლოს საბაჟოს გამგის თანაშემწე პ. დვალი 20 ივლისიდან 1919 წ.

№ 97.

დათხოვილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, მთავარ საბაჟოს საწყობის ზედამხედველის თანაშემწე საყვარელიძე 1 აგვისტოდან 1920 წ.

№ 99.

დათხოვნილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, ნატანების საბაჟოს კონტროლიორი ელიავა 7 ოქტომბრიდან 1919 წ.

№ 100.

დათხოვნილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, ყოფილი ნატანების საბაჟოს გამგე, მთავარ საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი ივანე მგალობლიშვილი 1 ნოემბრიდან 1919 წლ.

№ 101.

დათხოვნილია სამსახურიდან: მიცემული პასუხის გებაში, მთავარ საბაჟოს თავისუფალი მოხელე ქუთათელაძე 1 ნოემბრიდან 1919 წ.

№ 102.

დათხოვნილია სამსახურიდან. მიცემული პასუხის გებაში, ყოფილი ნატანების საბაჟოს ზედამხედველი, ნადრევანის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. ხომერიკი, 1 ნოემბრიდან 1919 წ.

საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. მიქაძე.**

—

სააქციზო სამმართველოს უფროსისა.

№ 40.

დაინიშნოს: დროებით თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად ტფილისში:

1) დავით ნიკოლოზის ძე მესხი 16 მარიამობისთვიდან 1920 წ.

2) შალვა ნიკოლოზის ძე ბუაჩიძე 19 მარიამობისთვიდან 1920 წ. და

3) ნიკოლოზ იოსების ძე ინაშვილი 21 მარიამობისთვიდან 1920 წ.

№ 41.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, 1920 წ. ენკენისთვის 1-დან აქციზის ზედამხედველი ბათომში იუსუფ-ეფენდი კიკავა.

№ 43.

დაინიშნა: სოფიო დგებუაძის ასული სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორად 10 ივლისიდან 1920 წ.

№ 44.

დათხოვნილია: თანახმად თხოვნისა, 1920 წ. ენკენისთვის 19-დან აქციზის სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწე იულია აბელის ასული იაშვილი.

№ 45.

დათხოვნილი არიან: თანახმად თხოვნისა, ენკენისთვის 1-დან 1920 წ. ტფილისის მე 4-ნაწილის აქციზის ინსპექტორის კანცელიარიის რეგისტრატორი ელისაბედ დავითის ასული რუსიშვილი და ამავე კანცელიარიის შიკრიკი ელისაბედ რევაზის ასული ყიფიანი.

სააქციზო სამმართველოს უფროსი **ხშ. ბაქრაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

მობილიზაციის გამო

გენერალურმა შტაბმა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ ყველა სამხედრო ნაწილის და სამხედრო აღრიცხვის უფროსებს, სამაზრო ერობების თავმჯდომარეებს, ქ. ტფილისის თავს, და აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: იმ რთული მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში, მთავრობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი თავისუფლების დასაცავად გამოაცხადოს ნაწილობრივი მობილიზაცია 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულ რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომ მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცთა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 10 ნოემბერი, ხოლო უკანასკნელ დღეთ კი 15 ნოემბერი. ამის გამო ვბრძანებთ: 1) მობილიზაციის დროს სწორ-უცვლელად იქნეს მიღებული სახელმძღვანელოდ მთავრობის მიერ ა. წ. 15 აპრილის დამტკიცებული რესპუბლიკის მოლაშქრე და სათადარიგო—ჯარის კაცთა გასაწვევი დასტურლამა. ამ დასტურლამის მე-12 მუხლის განსანმარტებლად გაწვევის დროს სრულიად განთავისუფლება ან გამოცხადების ვადის გაგრძელება მიეცეს მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც აღნიშნულია ამა წლის 11 მაისის გაზეთ, „საქართველოს რესპუბლიკის“ 103 ნომერში მოთავსებულ რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის პირველ, მეორე მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებში, 2) სამხედრო ერთეულთა შეკრება მოხდეს თანახმად დასახელებულ დასტურლამის 21 მუხლში აღნიშნულ საგანგებო განაწილებისა, რომელიც დაუყონებლივ დაეგზავნება გენ. შტაბის მიერ დაწესებულებებს, 3) მობილიზაციით გამოცხადებულთა სამხედრო ერთეულებში გადაგზავნა-გადმოგზავნა მოხდეს იმ 10 ჯარის კაცისა და ერთი ოფიცერის საშუალებით, რომელნიც უნდა გაიგზავნონ ერთეულთა უფროსების მიერ სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსების განკარგულებაში თანახმად 27 ოქტომბრის № 4197 გენ. შტაბის დეპეშა ტელეფონოგრამისა, 4) სამხედრო ერთეულების მიერ მოეწყოს თავიანთ მუდმივ ბინაზე გაწვეულთა ნორმალური მიღება განაწილება, 5) საქმეები ყველა იმ პირთა, რომელნიც სრულიად არ გამოცხადდებიან, ან და გამოცხადდებიან მიმდებ პუნქტებზე 15 ნოემბოის შემდეგ, სათანადო წესით გადაეცეს ადგილობრივი სამოქ ლაქო გამომძიებელს ხოლო თვით ჯარის კაცნი კი სამსახურისთვის სათანადო ერთეულებში განაწილების მიხედვით, 6) გასაწვევ წლების სახალხო გვარდიელნი გაწვეულ იქნებიან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის განსაკუთრებული განკარგულებით, 7) მხედართ აღმრიცხველებმა დეპეშით აცნობონ გენმობილს 11, 13, 15 და 17 ნოემბრის რომელ ერთეულში რამდენი კაცი გაიგზავნა, 8) ამა წლის მორიგი გაწვევა გადადებულია განსაკუთრებულ განკარგულებამდს და ამავე დროს ადგილობრივ თვითმართველობებს და სამხედრო აღრიცხვის, განყოფილებათა უფროსებს ვუბრძანებთ მიიღონ ყოველგვარი ზომები მორიგ გაწვევს წინასწარ მუშაობის საბოლოოთ დასამთავრებლად რომ ის ჩატარდეს ყოველ მხრივ მწყობრათ, 9) ამ დეპეშის მიღება დეპეშითვე ეცნობოს გენ. შტაბს ჩვენდა მოსახსენებლად.

სამხედრო მინისტრი **გ. ლორთქიფანიძე.**
შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილება *).

III. სახელმწიფო დაწესებულებათა ზოგიერთ კატეგორიის მოსამსახურეთა მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ მიღებულ იქმნას შემდეგი:

1) მთავრობის მიერ ამა წლის 15 აპრილს დამტკიცებული დასტურლამის 15 მუხლი გავრცელდეს ჯარისა და სახალხო გვარდიის დაწესებულებებში ნებით დაქირავებულ მოსამსახურეებზე იმავე წესით, როგორი წესით ეს ვრცელდება სამხედრო ერთეულების ნებით დაქირავებულებზე, თუ ნამდვილათ მათი გაწვევა შეაფერხებს მუშაობის ნაყოფიერებას და მოადგილეებიც არ იშოვება.

2) განთავისუფლებულ იქნან გაწვევისაგან: ა) სამხედრო ერობათა თავმჯდომარენი და ქალაქის მოურავნი და აგრეთვე ამ თვითმართველობათა გამგეობის ის წევრები, რომელნიც განაგებენ სამხედრო ან სასურსათო განყოფ ლებებს; ამავე თვითმართველობათა მთავარი აუჰკალტერები და სამხედრო განყოფილებათა საქმის მწარმოებლები; ბ) ყველა სამინისტროთა დეპარტამენტების დირექტორნი.

*) ეს დადგენილებანი დაბეჭდილი იყო გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ № 103-ში; ხელმეორედ ვბეჭდავთ დადგენილებების იმ პუნქტებს, რომლითაც საჭიროა ხელმძღვანელობა უკანასკნელად გამოცხადებული მობილიზაციის დროსაც. **რედ.**

3) სამაზრო, საქალაქო და რკინის გზის მილიციონერებსა და მილიციის სამსახურში მათ მეუფროსეთ მიეცეს გამოცხადების ვადის ერთი თვით გაგრძელების ნება.

4. გაზეთებზე მომუშავე ასოთ-ამწყობებსა და მბეჭდავებს მიეცეს გამოცხადების ვადის ერთი თვით გაგრძელების ნება.

5) ტყიბულის მაღაროების სპეციალურ მუშებზე გავრცელდეს მთავრობის მიერ ამა წლის 15 აპრილს დამტკიცებულ დასტურლამის 15 მუხლი.

მოსალოდნელ საფრთხის გამო

კვლავ მორიგი საფრთხე აღიმართა ჩვენს წინაშე. არ იქნა, სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაბმულ საქართველოს დემოკრატიას არ ეღირსა მოსვენება. მტრები არ ცხრებიან, მათი მახანა სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, მოსპონ, ფეხქვეშ გასთელონ ის პოლიტიკური, თუ ეროვნული უფლებანი, რისთვისაც ქართველმა ერმა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა სამსხვერპლოზე. ქემალ-ფაშის იმპერიალისტური სუნით დამთვრალი ბანდები უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებენ სომხეთის ერის წინააღმდეგ; ამ ბანდებს მხარს უმშვენებს მისი მოკავშირე კომუნისტების ჯარი წითელ არმიელები. ჩვენში მომქმედი ბალშევიკები აღარ ფარავენ და აოც საძრახისობენ იმპერიალისტ ოსმალეთის ფაშისტიან კავშირს, ისინი აშკარად აღიარებენ, რომ მთელი მათი სიმპატია არის ქემალ-ფაშისკენ. დაეცა დიდათ სტრატეგიული ციხე ყარსი. სომხეთ ტანჯული ერი გაფთრებული იბრძვის, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში რას გააწყობს. ამ რიგად ჩვენს მეზობლად ბანაკდება შავი რეაქციონური მეზობელი, რომელმაც თუ შესძლო, მოინდომებს ჩვენს საზღვრებზედაც ფეხის გადმოდგმას. ამისათვის სიფრთხილეს თავი არ სტკივა,—უნდა ვემზადოთ ომისათვის, ერთხელ კიდევ უნდა დავანახოთ მტერს ჩვენი რევოლიუციონური ძლიერება და დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის თავდადება. მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულთა და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ გაწვეული ახალგაზრდობა ხალისით გაეშურება ბრძოლის ველზე ყარზე მოსულ მტრის წინააღმდეგ; დეზერტირობას, რომელიც სამშობლოს ღალატს და გამცემლობას უდრის, ქართველ დემოკრატიაში არასოდეს ქონია ადგილი და ცხადია, არც ეხლა ექნება.

მეორდება 1918 წლის ისტორია, როცა ჩვენ ისტორიულ მტერ ოსმალეთთან უთანასწორო ბრძოლის დროს, საქართველოს დემოკრატია იძულებული იყო დროებით დაეტოვებია თავის მიწა-წყლის განუყრელი ნაწილი—ბათუმი და მისი ოლქი; მაგრამ ეხლანდელი საქართველო მაშინდელს როდი გავს; მაშინ ჩვენში ანარქია მძვინვარებდა, მოუწყობელი გვქონდა სახელწიფოებრივი აპარატი, ჩვენი ახალგაზრდა ჯარი არ იყო ორგანიზაციულად მოწყობილი, დღეს კი სულ სხვა სურათია: ჩვენი სახელოვანი სახალხო გვარდია და ჯარი დღეს ძლიერია; მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ 1918 წლის შემდეგ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ მას შესწევს უნარი ბრძოლისა, ბრწყინვალე გამარჯვებისა.

მთავრობა ყოველ ზომებს ღებულობს მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაშორებლად; ის არასოდეს არ მისცემს მტერს ომის მიზეზს, მისი ბუნება ამას არ ეგუება; მიღებულია სათანადო ზომები ჩვენი საზღვრების მტკიცედ დასაცავად; დაწყებულია აგრეთვე ომისათვის სამზადისი. საფრთხის დროს საქართველო უფრო ერთიანდება. დღესაც, როგორც ყოველთვის მთელი ერი თავს მოიყრის თავის მთავრობის გარშემო და თავისებური გმირობით ეკვეთება მტერს, თუ მან გაბედა ჩვენს ტერიტორიაზე ნაბიჯის გადმოდგმა.

მობილიზაციის მწყობრად, ბრწყინვალედ ჩასატარებლად ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

დამფუძნებელი კრება

5 ნოემბრის სხდომა.

(დასასრული)

ფრაქციების წარმომადგენლების მოსმენის შემდეგ იხ.ნება კამათი. სიტყვას იღებს **ნ. რამიშვილი,** რომელიც ამბობს:

საჭიროთ მიმაჩნია მთავრობის სახელით გავფანტო ზოგიერთი გაუგებრობა. ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელი ბრძანებდა: თქვენ იგვიანებთო, ამიტომ ჩვენი ჯარის პირველი შეტაკება თავდება უკან დახევით, ხოლო როდესაც ძალას ვიკრებთ,—მაშინ მთავრობა მას უკან აბრუნებსო. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ნაციონალისტების პოლიტიკა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს სხვის ტერიტორიის დაპყრობისა (ტაში).

ასეთი ჩვენი პოლიტიკა ჩვენ საშუალებას გვაძლევდა ძალები დაგვეზოგა, არ შემოგვეშვა მტერი საზღვრებში და დაგვეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა... სოც.-დემოკრატია არას დროს არ ჩაებმება ავანტიურაში.

შემდეგ ორატორი გაკვრით ეხება ოპოზიციის სხვა წარმომადგენელთა გამოსვლებს, კერძოთ ს.-რევ. ფრაქციის წარმომადგენელის სიტყვას და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ისინი (ს.-რ.) 1918 წელს წინააღმდეგნი იყვნენ მობილიზაციისაც კი.

დასასრულ ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ, მიუხედავათ კრებაზე გამოთქმულ წინააღმდეგობათა, საქართველოს დემოკრატია მთლიანი და ერთსულოვანი გამოვა მტრის წინააღმდეგ და შეერთებული ძალ-ღონით სძლევს ყოველგვარ საფრთხეს (ტაში).

ვალ. ჯუღელი. ამ თეთრ დარბაზიდან ქართველ ხალხს ხშირათ სმენია ასეთი ხმები. და როდესაც მძიმე მდგომარეობა შექმნილა, მას ყოველთვის დაუმარცხებია მტერი. დღესაც ასევე გამარჯვებული გამოვა იგი ამ საფრთხიდან. და მე მწამს, რომ, მიუხედავათ ასეთ დისონანსებისა მარჯვნიდან და მარცხნიდან,—ხალხი კვლავ ძველებურათ დაირაზმება დამფ. კრების გარშემო. დამშეულ და შევიწროებულ მშრომელ ხალხს უფრო კარგათ ესმის სახელმწიფოს ინტერესები, ვიდრე ბ-ნ შენგელაიას (ტაში).

ჩვენ მოგვისმენია ბევრი ოპოზიცია. ერთხელ მუსავატელებიც თავდაცვაზე გველაპარაკებოდნენ, მაგრამ საქმით ღალატს გვიმზადებდენ. და როდესაც ს.-რევოლიუციონერები დღეს აქ თავდაცვაზე გველაპარაკებიან,—შეიძლება, ხვალ ისინი ჩვენი მტრების მხარეზე აღმოჩნდნენ და ჩვენვე შეგვებრძოლონ...

შენგელაია მოითხოვს, რომ მთავრობა უნდა გადადგესო... მე არას დროს არ მწამდა მისი ლოლიკა და პოლიტიკა, მაგრამ მწამდა მისი პატიოსნება. მაგრამ ახლა მის გამოსვლაში არც ამას აქვს ადგილი. დღევანდელ გართულებულ პირობებში იგი მოითხოვს მთავრობის გადადგომას, ე. ი. ხალხისათვის თავის მოკვეთას!—ვინ უნდა დაიჭიროს მისი ალაგი?! მაგრამ ხალხი ღირსეულათ დააფასებს ამ განცხადებას და განაგრძობს სვლას იმავე გზით, რომელზედაც იგი დღემდე მტკიცეთ იდგა

თქვენი კრიტიკა იმ კრიტიკასთან შედარებით, რომელსაც აკეთებს თვით მთავრობის თავმჯდომარე, მხოლოდ ბავშვური ტიტინს წარმოადგენს. სოც.-დემოკრატია თვით აწარმოებს უსასტიკესს და სერიოზულ თვითკრიტიკას. ეს იყო ჩვენი გზა და ამავე გზით ვივლით მომავალშიაც. კრიტიკა, რომელსაც მარჯვნიდან და მარცხნიდან აწარმოებენ, ჩვენ ვერ შეგვაშინებს, რასაკვირველია, და ვერც ვერაფერს გვასწავლის, სამწუხაროთ,—ჩვენი მუშაობის ნაკლი არავინ არ იცის ისე კარგათ, როგორც ჩვენ.

სოც.-რევოლიუციონერები კრიტიკას აწარმოებენ, მაგრამ არც ერთხელ არ გვინახავს ჩვენში მათი გეგმა. ჩვენ ვიხილეთ ერთხელ რუსეთში მათი პოლიტიკა, რომელმაც დალუპვის კარამდე მიიყვანა რუსეთის ხალხი და ჩვენ არ გვინდა ეს პოლიტიკა ჩვენშიაც გავიმეოროთ...

ეხება რა ნაციონალ-დემოკრატების სიტყვას,—ორატორი განაგრძობს:

ამ დისონანსებს არავითარი ალაგი არა აქვს ხალხში, იგი მთლიანია და ერთსულოვანი მტრის წინაშე. ეს ამტკიცებს იმას, რომ თქვენ (ნ.-დემ.) ამ ხალხის ხორცმეტები ხართ. ბაზა არის ყოველთვის მშრომელი დემოკრატია; თქვენ კი ყოველთვის სიტყვით ხალხთან იქნებით, საქმით კი მისი წინააღმდეგი.

ერთი უნდა ვსთქვათ აშკარათ: ჩვენ არას დროს არ ვყოფილვართ მტერი ოსმალეთის დემოკრატიისა. როდესაც იგი ქმნის საკუთარ სახელმწიფოს,—ჩვენი სიმპატიაც მისკენაა. მაგრამ როდესაც იგი მოისურვებს ჩვენს განადგურებას,—ეს მას არ შერჩება. ეს იქნება ველურობა და როდესაც სომხეთის შემდეგ იგი მოისურვებს ფეხი შემოდგას სამტროთ ჩვენს ტერიტორიაზე,—მაშინ დაიწყება განადგურება ბარბაროსობისა.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ რუსეთი არ დაეხმარება ოსმალეთს. გარანტიებს ჩვენ არ ვითხოვთ. ჩვენი მოთხოვნაა: არ ჩაერიოს ჩვენს საქმეებში; და მაშინ ბარბაროსულ ოსმალეთს ჩვენ საკუთარის ძალებით გავუმკლავდებით. ჩვენ რევანშისტები არა ვართ; გვინდოდა და გვინდა მხოლოდ მშვიდობიანობა... მაგრამ თუ ოსმალეთი არ დაიშლის და ჩვენი დამოუკიდებლობის განადგურებას მოიწადინებს,—მაშინ ხმლის წინაღმდეგ ხმალს მივმართავთ და, გვწამს, გამარჯვებული ვიქნებით (ტაში).

ი. ლორთქიფანიძე (ს.-რ.) თავისი ფრაქციის სახელით ცდილობს დაასაბუთოს მათი მოთხოვნილება მთავრობის გადადგომის შესახებ. მისი აზრით, ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეცეს და უკანასკნელი აღიარებულ იქნეს კონვენტის მსგავს ორგანოთ. (ორატორს ხშირათ აძლევდენ რეპლიკებს, ისმოდა ხმაურობა).

ლ. შენგელაია (ს.-რ.) აზრით, სოც.-დემოკრატია ვერ ამაღლდა პრინციპიალურ სიმაღლეზე და სერიოზულ მსჯელობის ალაგი პარტიულ კინკლაობამ დაიკავა. მისი სიტყვით, „მთავრობა უნდა წასულიყო“. ორატორი ეკამათება ნ. რამიშვილს და ამბობს, რომ 1918 წელს ს.-რევოლიუციონერები არ ყოფილან მობილიზაციის წინააღმდეგი.

აკ. ჩხენკელი აღნიშნავს ყველა ფრაქციების მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველო დღეს უფრო ძლიერია, ვიდრე ორი წლის წინათ და ამბობს, რომ ეს მთავრობისა და მმართველი პარტიის ამაგიაო. მისი აზრით, არ არის მეორე სახელმწიფო, რომელსაც თავისი ცხოვრება ისე მოეწყოს, როგორც საქართველომ შესძლო ამის მოწყობა.

კამათის დასრულებისა და რეზოლიუციის მიღების შემდეგ (რეზოლიუცია უკვე დაიბეჭდა წინა ნომერში) ნ. ბ. რამიშვილი მთავრობის სახელით აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას გერმანიის მთავრობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულათ აღიარების შესახებ. დამფუძნებელი კრება ფეხზე ადგომითა და დაუსრულებელის ტაშით ხვდება ამ ცნობას. დასასრულ თავმჯდომარე **ა. ლომთათიძე** შემდეგის სიტყვებით მიმართავს დამფუძნებელ კრებას:

მოქალაქენო! თავის თავად ცხადია, ის განცხადება, რომელიც ეხლა მოვისმინეთ, უაღრეს სიხარულით აღავსებს მთელი დამფუძნებელ კრებისა და მთელი ერის გულს. არ შევცდები, თუ თქვენი სახელით და, მაშასადამე, მთელი ხალხის სახელით უდიდეს მადლობას და მხურვალე სალამს გადავცემთ აქვე სტუმრათ მყოფთ გერმანიის დემოკრატიულ მთავრობის წარმომადგენელს ბ-ნს ფონ-დრიუფელს და უუდიდეს ბელადს გერმანიისა და მთელი საერთაშორისო დემოკრატიისას ბ-ნს კარლოს კაუცკის. ამათ სახელით გერმანიის ხალხს ვუსურვებთ გამარჯვებას და წინსვლას საკაცობრიო იდეალებისაკენ. (ტაში და ოვაციები. ხმები: „გაუმარჯოს კაუცკის!“).

სხდომის წესრიგი ამოწურულია. მიუხედავათ აზრთა სხვადასხვაობისა, ერთი რამ აშკარაა ჩვენთვის: ეს ისა, რომ ამ საშინელების დროს მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, გამოვა სამშობლოს დასაცავათ; ან მოკვდება, ან გამარჯვებული დაბრუნდება შინ. ნება მიბოძეთ თქვენი სახელით გამარჯვება ვუსურვო ძლევამოსილ საქართველოს დემოკრატიას, მის ძლევამოსილ ჯაოსა და სახელოვან გვარდიას (ტაში).

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

შიმშილობა რუსეთში.

„ტანს“ იზვესტიიდან მოყავს ცნობა ვოლგის გუბერნიებში გამეფებულ შიმშილობის შესახებ. საბჭოთა პრესის ცნობით რუსეთში მოსალოდნელია არა მარტო შიმშილობა, არამედ საოესლე ხორბლის უქონლობაც.

მეზღვაურების აჯანყება.

ჰელსინგფორსიდან მოსული ცნობით კრონშტანტის მეზღვაურებმა ფრონტზე წასვლის ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს. რამოდენიმე აჯანყებული დააპატიმრეს, აქედან ზოგი დახვრიტეს კიდევაც.

ესერების მოწოდება.

„ვოლია რუსი“ ჰბეჭდავს 226 რუს ესერის, მენშევიკის, მაქსიმალისტის და ანარქისტის ხელმოწერილ მოწოდებას. ეს ხელმოწერილები მოსკოვის ციხეში სხედან. ამ მოწოდებაში აღნიშნულია მუშებისა და ინტელიგენტების საშინელი უკმაყოფილება ბალშევიკებისადმი. სპეკულიაცია უმაგალითოდ ვითარდება. შიში იმდენად ძლიერია, რომ მუშებს თავისი გულწრფელი აზრები ვერ გამოუთქვამთ.

ეკონომიური მდგომარეობა გერმანიაში

„ფოსიშე ციტუნგი“ აღნიშნავს, გერმანიის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. ჭვავი საესებით არ მოსულა, შვრიას მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. მთავრობამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ისეთი დაბალი ნიხრი დააწესა, რომ გლეხებს პროდუქტი ბაზარზე გასასყიდათ აღარ გამოაქვთ. სიძვირე დღითი დღე იზრდება. მუშების შრომის ხელფასი 100% გაადიდეს. მოსავალი მხოლოდ კარტოფილის იყო კარგი. მთავრობა ღებულობს ზომებს, რომ კარტოფილი იაფ ფასებში გაიყიდოს. გლეხები და მემამულეები მთავრობის ამ ღონისძიებას ებრძვიან. გაზეთის აზრით გლეხებმა სახელმწიფოებრივ ინტერესის თვალსაზრისით სასპეკულიაციო ფასებზე უარი უნდა სთქვან.

სოციალისტური პრინციპების დაცვა.

ფორვერსტი იუწყება: დამოუკიდებელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ცენტრალურ კომიტეტის წევრების საწინააღმდეგოთ მოსკოვში გაგზავნილ წერილის გამო პროტესტი განაცხადოს. გაზეთის ცნობით დამოუკიდებლებს გადაწყვეტილი აქვთ თვით დაიცვან თავისი სოციალისტური პრინციპების სიწმინდე.

სავაჭრო შეთანხმება.

„ფოსიშე ციტუნგი“ იხილავს იმ სავაჭრო შეთანხმების მუხლებს, რომელიც ინგლისის ფირმებსა და სამხრეთ რუსეთის წარმომადგენლებს შორის დაიდვა. საბარგო გემების მიმოსვლა უნდა დაემორჩილოს არსებულ საერთაშორისო ფორმებს. ვაჭრობის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისში და რუსეთში ოფიციალური საკონსულოები იარსებებს. საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებს იმ საქონლის რეკვიზიციაზე, რომელიც კერძო პირებს ეკუთვნის.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან.)

მდგომარეობა ოდესაში.

„იზვესტიას“ ცნობით ოდესაში ჩრეზვიჩაიკამ დაბვრიტა რამდენიმე გავლენიანი პირი. მათ შორის მოჰყვენ: ვ. პოდოლცევი, ტიუტნიკი, სოლჩინსკი, საფრანგეთის პოლკოვნიკი დე-მურე, მაკოვსკი, კუზნეცოვი და ბევრი სხვა.

საბჭოთა სკოლები.

„პეტროგრადის იზვესტიები“ კომუნისტების ოფიციალური ორგანო ასე ახასიათებს საბჭოთა სკოლებს: სრულიად არა აქვთ თავისუფალი დრო, რომ გაკვეთილებისათვის ემზადონ. მასწავლებლები დატვირთულნი არიან სხვა და სხვა იძულებითი სამუშაოთი, რასაც ბალშევიკები შრომის მობილიზაციას ეძახიან. ყველა პედაგოგს ჩაბარებული აქვს რომელიმე რთული საქმე, რომლის შესრულება ტ გაძღოლა სავალდებულოა. ასეთ მდგომარეობაში კი საბჭოთა სკოლებს მნიშვნელობა სრულიად ეკარგება და ნაყოფიერებას ვერავითარს მოიტანს. ბევრი პედაგოგი მასწავლებლობას თავს ანებებს.

ნიტი საბჭოთა რუსეთის შესახებ

იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ნიტტს საბჭოთა რუსეთის შესახებ შემდეგი უთქვამს: ანტანტას პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ არ არის სამართლიანი. რუსეთს ჩვენ ისე უნდა უყუროთ, როგორც მეგობარს და არა მტერს, მაგრამ როგორც დაღუპვის გზისკენ მდგარს. დღეს რუსეთში გამეფებულია აბსოლიუტური რეჟიმი ძალმომრეობისა. ბალშევიკების ეკონომიური სისტემა შეუწყნარებელია და უეჭველად ეს სისტემა დაიღუპება. კომუნისტებს თავზე კიდევ ბევრი უბედურება დაატყდებათ. ჯერ სრულიად იმედი არ უნდა გვქონდეს იმისი, რომ რუსეთი ერთი, სამი ან ოთხი წლის განმავლობაში ეკონომიურად მოღონიერდება და შესძლებს უცხო ბაზარზე რაიმე საქონლის გადმოზიდვას. მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებმა უნდა ანგარიში გაუწიონ საბჭოთა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. მოკავშირეებმა ყოველ მხრივ, რომ დახმარება აღმოუჩინოს რუსეთს, რუსეთი თანდათანობითი მუშაობას და ცხოვრებას შეუდგება. თუ კიდევ ჩვენ განვაგრძეთ მტრული პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ, მაშინ რუსეთის მდგომარეობა უფრო გაუარესდება.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ლიონის ცნობა.

ბელგიის ახალი კაბინეთი.

ბელგიის მეფემ დაავალა კარტონ-დე-ვიარტუს ახალი კაბინეთის შედგენა. მოსაფიქრებლად დე ვიარტუმ დრო მოითხოვა.

სამხედრო შეთანხმება.

„პტი-პარიზიენი“ იუწყება, რომ საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო შეთანხმების რეგისტრაცია მოახდინა ერთა ლიგამ.

ვენეზილოსი.

ვენეზილოსი მივიდა კორინფში მას ზეიმით შეხვდენ. მის სიტყვებს „ძირს კონსტანტინეს“ ძახილით მიესალმენ.

საფრანგეთის მემალაროენი.

საფრანგეთის მემალაროელთა ცენტ. კომიტეტმა მიიღო საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრის წინადადება, რომ მან მონაწილეობა მიიღოს მწარმოებელთა წარმომადგენლების თათბირში, რომელიც სამშაბათს შესდგება.

ადრიატიკის საკითხი.

რომის „ჟურნალ დ'იტალიის“ ცნობით სამხრეთ სლავიასთან გამართულ კონფერენციაზე იტალიის მთავარი მოთხოვნილებანი ადრიატიკის საკითხის მოსაგვარებლად შემდეგია: 1) საზღვარი უნდა მოდიოდეს იულის ალპებამდე; 2) ფიუმეს სრული დამოუკიდებლობა; 3) ზარის დამოუკიდებლობა და თუ შესაძლებელია, იტალიის მიერ მისი ანექსია. გაზეთი უმატებს, რომ მოლაპარაკება შესწყდება, თუ სამხრეთ სლავიის დელეგაცია ამ პირობებს არ მიიღებსო.

საბერძნეთში.

საბერძნეთში შეიძლება ტახტის მემკვიდრის არჩევის საკითხის გამო, არეულობა მოხდეს, ქემალი საბერძნეთის ფრონტზე შეტევის დაწყებას აპირებს ამ თვეში, მის განკარგულებაშია 5 კორპუსი.

იტალია და სამხრეთ-სლავიის თათბირი

ჭვასის ცნობით, იტალია ტ სამხრეთ-სლავიის ორ სხდომას, რომელიც ორშაბათს მოხდა არავითარი შედეგი არ მოუტანია. გრაფი სფორცა რამდენადაც შესაძლებელი იყო დათმობის გზას ადგა.

ზემო სილეზიაში.

ზემო სილეზიაში ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვა დასრულდა, იმედია რომ გაფიცვა ბერლინშიაც მშვიდობიანად დასრულდება.

ახალი ამბები

ინგლისელ ტყვეთა გაშვება. ს. დეპ. სააგენტოს კორესპოდენტს ბრიტანეთის მისიამ შემდეგი ცნობა გადასცა: ნოემბრის 7 ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი პოლ. სტოკსი საფრანგეთის კონსულ ნეტმანთან ერთად მივიდა ფოილოში ბაქოდან განთავისუფლებულ ინგლისელ ტყვეების შესახვედრათ. ეს ტყვეები რიცხვით 63 კაცი ნოემბრის 8 ტფილისში ჩამოვიდნენ. 63 კაცში 22 მეზღვაურია, 12 ჯარის კაცი 6 მოსამსახურე პირი, ოთხი ქალი, სამი ბავშვი და სხვ. ნოემბრის 8 ინგლისელები ბათომს წავიდნენ ინგლისში გასამგზავრებლად. ნოემბრის 9 ბაქოდან ტფილის ჩამოვიდა ბაქოს კონსული საულკიე, ბაქოში დარჩენილ 8 ინგლისელით. მათ ჩამოსაყვანათ გაგზავნილი იყო საგანგებო მატარებელი აქსტაფაში. მათ შესახვედრათ წასული იყო ინგლისის მისიის მდივანი რუკერტი. აპრილის 27 დატყვევებულნი ინგლისელები ტყვეთა გაცვლა გამოცვლის ნიადაგზე იქნება განთავისუფლებულნი. ბაქოში განთავისუფლებული ინგლისელების სამაგიეროდ ინგლისმა გაანთავისუფლა ბალტის კუნძულზე დაპატიმრებული ქემალისტები.

სასამართლოს სესია. თელავს გაემგზავრა საოლქო სასამართლოს სესია სასამართლოს წევრის ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით. საქმეთა გარჩევა სწარმოებს თელავში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ნოემბრის 8—13-მდე.

— ნოემბრის 23—27 დუშეთში დანიშნულია საოლქოს სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მაიორ სვანიძის საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოში ნოემბრის 20 გაირჩევა.

არჩევითი წესი. ქალაქთა კავშირმა დუშეთს, ოჩემჩირს, ხაშურს, ხონს, ქუთაისს და ბორჯომს წინადადება მისცა წარმოუდგინონ სამი დღის განმავლობაში ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს საჭირო ცნობები არჩევითი წესის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ეს ცნობები არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულ დროში, დასახელებული ქალაქები არ იქნებიან შეტანილი იმ საერთო სიაში, რომელსაც უდგენს ქალაქთა კავშირი შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ავსტრიის წითელი ჯვარი საქართველოში. საქართველოში მყოფი ავსტრიის რესპუბლიკის წითელი ჯვრის რწმონებული გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ნოემბრის 7 გერმანელების საავადმყოფოში ტროპიულ ციებ ცხელებით გარდაიცვალა თურქესტანში მყოფი სამხედრო ტყვე პრემესლის სიმაგრის კაპიტან ინჟინერი ოტი მიულინგი, ავსტრიაში ცნობილი სამრეწველო მოღვაწე. მიულინგი 6 წლის ტყვეობის შემდეგ ბრუნდებოდა თურქესტანიდან, მაგრამ გზაში ავად გახდა. მიულინგის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს ნოემბრის 11 დღის სამ საათზე.

სახელმწიფო ბანკში. სახელმწიფო ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებულ სხდომაზე განიხილეს გამგეობის მოხსენება იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა მიხედვით შეიძლება კრედიტის გახსნა.

კართოფილი. ქალაქთა საბჭოს სასურსათო განყოფილებამ ბორჩალოს მაზრიდან მიიღო რამოდენიმე ვაგონი ქართოფილი და ხახვი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა სასურსათო მაღაზიებს მცხოვრებლებზე გასაყიდათ.

სამხედრო მინისტრის დაბრუნება. ტფილისში დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, ამასთანავე ლორთქიფანიძე შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღსრულებასაც.

გვარდიელების შეპყრობა. სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო გვარდიელები: არსენი როკუა, პ. დარჩია, კ. მორჩილაძე, ვ. გირკელაძე, მ. ქვითაიშვილი და 1 კომისარიატის მილიციელი მიხ. ბეჟიშვილი, რომელთაც 9 ნოემბერს ღამით უნდოდათ ბეზრუჩკოს მაღაზიაზე (ვერის დაღმართზე) მოეწყოთ თავდასხმა და საქონლის გატაცება.

დასავლეთ საქართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება. ამა წლის 21 ნოემბისთვეს დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში სამხედრო ბინათა დისტანციაში ინჟენერის ქუჩაზე დანიშნულია დასავლეთ საქართველოს ინჟენერ-ტექნიკოსთა საზოგადო კრება, განსახილველია და დასამტკიცებელი დასავლეთ საქართველოს ინჟენერ-ტექნიკოსთა პროფესიონალურ კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება, დასწრება ყველა ინჟენერ ტექნიკოსთათვის სავალდებულოა.

სამხატვრო ქრონიკა.

ქართული დრამა. დღეს მესამედ წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ოტელო“ რომელშიც დესდემონის როლს შეასრულებს ვ. ანჯაფარიძე, კასიოს ა. მურუსიძე, ემლიას-ა. შოთაძე დასაწყისი საღ. 7 საათზე, დასასრული 12 ს.

მზადდება „მსხვერპლი“ ა. წუწუნავას რეჟისორობით, „უგვირგვინო მეფენი“ ა. ფალავას რეჟისორობით „ბერდო ზმანია“ ალ. ახმეტელის რეჟისორობით.

ქართული ოპერა. დღეს იდგმება „აბესალომ და ეთერი“.

შრომის სამინისტროსაგან

შრომის სამინისტრომ რესპუბლიკაში მყოფ შრომის ყველა კომისარს, პროფეს. კავშირებს და შრომის სამინისტროს რწმენებულთ შემდეგი შინაარსის ცირკულიარული განმარტებით მიმართა: ამ უკანასკნელ ხანში ტფილისის და პროვინციების ზოგიერთ კავშირში ადგილი ქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოსამსახურენი არდგენდენ სხვა და სხვა მოთხოვნილებებს და გაფიცვით იმუქრებოდენ. ამ მოთხოვნილებებს საფუძვლათ ჰქონდა ან ხელფასის დროზედ მიცემა და ან პურის და სხვ. საგნების რეგულიარულად მიწოდება.

ამგვარ მოვლენათა არსებობას, რომელთაც თან სდევს მუქარა გაფიცვისა სამინისტროსთვლის საამწუხაროა გაუგებრობათ. მიმართვა გაფიცვისთვის როგორც ერთადერთ საშუალებისათვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში უარყოფილი უნდა იყვეს. რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიური პირობები მოითხოვს სამრეწველო ცხოვრების მიმდინარეობისადმი მეტად ფრთხილ მოპყრობას, რადგანაც მრეწველობაში მომხდარი, თუნდ ოდნავი, შეფერხებაც კი მძიმე ტვირთად აწვებათ თვით მუშებს. ყოველთვის, როდესაც შრომის სამინისტროს შუამდგომლობა სასურველ შედეგებს არ იძლევა, მაშინ არსებობს ისეთი ობიექტიური პირობები, რომელთა გადალახვაც დროებით შეუძლებელი ხდება.

შეკავშირებულმა მუშათა კლასმა არ შეიძლება, რომ ეს არ იცოდეს.

მუშათა ორგანიზაციებმა, შრომის კომისრებმა და შრომის სამინ. რწმუნებულებმა ყოველგვარი ღონე უნდა იხმარონ, რომ ცალკ-ცალკე ჯგუფებმა და ან მუშათა კავშირებმა გაფიცვის მუქარით და მუშაობის შეწყვეტით დეზორგანიზაცია არ შეიტანონ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ისინი ყოველ შემთხვევაში უნდა სცდილობდენ წინდაწინვე ამოსწურონ ყოველგვარი შესაძლებლობა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად.

ქალაქთა კავშირში

ნ. ზ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისა. ამ თათბირს დაესწრენ საგანგებოთ მოწვეულნი პირნი მუნიციპალურ ბანკის შესახებ მოსალაპარაკებლად. თათბირს დაესწრო ბ. ჩხიკვიშვილი, სახელმწიფო ბანკის მმართველი ი. ლორთქიფანიძე და სხ. ე. ბერგმა წაიკითხა მოხსენება ბანკის დაარსების შესახებ. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა ქალაქთა ფინანსების კრიტიკული მდგომარეობა და კომუნალური კრედიტის საჭიროება. ელიავამ განაცხადა: მოხსენება პერსონალურია, მუნიციპალური ბანკის დაარსების საკითხი პრინციპიალურად გადაწყვეტილია, როგორც რუსეთში ისე საქართველოში. ახლა მხოლოდ გადასაწყვეტია საჭიროა, თუ არა მუნიციპალური ბანკის გახსნა მაშინ, როდესაც არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომელიც მოკლე ვადიან სესხს იძლევა. სახელმწიფო ბანკის მმართველმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური ბანკი ხელს ვერ შეუშლის სახელმწიფო ბანკს, მხოლოდ გამოსარკვევია ის, თუ ბანკის პასიური რომელი თანხიდან უნდა შესდგეს; ვინაიდან მიმდინარე ანგარიშების იმედი ცოტაა. მართალია, ნ. ელიავას განცხადებით მთავრობის განკარგულებაში ქალაქებისათვის სესხად მისაცემად გადადებულია 200 მილიონი მანეთი, მაგრამ ეს არ სწყვეტს საკითხს. ამ მოსაზრებით ი. ლორთქიფანიძეს სასურველად მიაჩნია მუნიციპალურ ბანკის გახსნა, მხოლოდ არა ეხლავე. თათბირის წევრმა გოთუამ სასურველად აღიარა ეხლავე გახსნა მუნიციპალური ბანკისა, რომელსაც შედარებით კერძო ბანკებთან გაცილებით დიდი ნდობა ექნება. რევოლიუციით შეშფოთებული ხალხი თანდათან მშვიდდება რის მომასწავებელიცაა მიმდინარე ანგარიშებზე შემოტანილ თანხის ზრდა. ამას წინად გახსნილ ცენტრო-ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე ამ ქამად შეძოტანილია 200 მილიონი მანეთი, მაშინ, როდესაც ბანკი 30 მილიონ თანხით გაიხსნა. გოთუამ წინადადება შეიტანა აერჩიათ კომისია წინასწარ მუშაობისათვის. თათბირის წევრმა რუსიამ საჭიროდ არა სცნო მუნიციპალური ბანკის გახსნა, ვინაიდან ადგილობრივი თვითმართველობანი შეთანხმებულათ მუშაობენ ცენტრალურ მთავრობასთანო. ელიავამ აღნიშნა იმ აზრის უმართებულობა, თითქოს სახელმწიფო ბანკი ემსახურებოდეს ადგილობრივ თვითმართველობათა საჭიროებას. ბანკს საფუძვლად უნდა დაედოს მუნიციპალიტეტების ურთიერთშორის პასუხის მგებლობის პრინციპიო. - მომხსენებელის განმარტების შემდეგ მუნიციპალური ბანკის გახსნის საკითხს კენჭი უყარეს. ბანკის გახსნის მომხრე აღმოჩნდა 11 მიწინააღმდეგე 4, ორმა თავი შეიკავა. ბანკის ტიპის შესახებ წინააღმდეგ ერთისა დაადგინეს: ბანკს საფუძვლად დაედვას ურთიერთ შორის პასუხისმგებლობის პრინციპი. ბოლოს გადასწყვიტეს მუნიციპალურ ბანკს მიეცეს ობლიგაციების გამოშვების უფლება. იქნება ერთი ბანკი საქალაქო და საერობო. ბანკის პატრონი უნდა იყვეს მუნიციპალიტეტები.

კოოპერატიული ცხოვრება

— ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარების და კეთილ მომავლის უტყუარ ნიშნათ უნდა ჩაითვალოს წვრილ სასოფლო მეურნეთა შეკავშირება კოოპერატიულ ამხანაგობებში. ამ ამხანაგობათა უახლოესი მიზანია წვრილ მწარმოებელთა მიერ მოწეულ ნაწარ-

მოებთა გასაღების ორგანიზაციულათ მოწყობა და ამ ნაწარმოებთა ჩარჩთა უშუამავლოთ ბაზარზე გამოტანა. კავშირდებიან მეთამბაქოები, მეცხვარეები, ყველის და კარაქის მწარმოებელნი და სხვანი. ცეკავშირის არასავაჭრო განყოფილებამ უკვე გადასდგა ნაბიჯები ამ სასურველ ტენდენციისათვის იდეურ და ტეხნიკურ-ინსტრუქტორულ ხელმძღვანელობის გასაწევად. სხვათა შორის ზუგდიდის მაზრაში დაარსდა ეგრეთ წოდებული „ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა“, რომელიც ცეკავშირის გამგეობის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის სრულუფლებიან წევრათ.

— ტფილისში არსებულ მძლავრ კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირმა დაადგინა მიმართოს მთავრობას თხოვნით, რომ დახურულ რესტორან კლუბების სადგომები და ინვენტარი განსაზღვრულ პირობებში გადაეცეს ტფილისის კოოპერატივთა კავშირის მოკავშირე მძლავრ კოოპერატივებს საზოგადოებრივ სასადილოების მოსაწყობათ. არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვა ამ საკითხზე და აგრეთვე ამ დაწყებულების დამუშავება-ხელმძღვანელობა.

— ცეკავშირის გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშების მიხედვით მას 1919 წლ. სოოპერაციო წლისაგან დარჩენია მოგება 6.237.516 მან. 31 კაპ.

— ოქტომბრის 23-დან 26-მდე გაგრძელდა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მოკავშირეთა ბიუროს მეხუთე სესია. აღნიშნული ორგანო შესდგება საქართველოში არსებულ სარაიონო კოოპერატიულ კავშირების წარმომადგენლებისაგან და მის მოვალეობაში შედის სხვათა შორის წინასწარი განხილვა ცენტრალური კავშირის გამგეობის მოხსენება-ანგარიშებისა. შემდეგ ეს მოხსენებები მოკავშირეთა ბიუროს დისკვნით წარედგინება გამგეობის მიერ ცენტრალური კავშირის მოკავშირე კოოპერატიულ ორგანიზაციების რწმუნებულთა საზოგადო კრებას. ასეთი კრება ცეკავშირის გამგეობისა და მოკავშირეთა ბიუროს დადგენილებით მოწვეულ იქნება მიმდინარე წლის ნოემბრის 24-ს. ამ კრებას წარედგინება განსახილველათ და დასამტკიცებლათ 1919 წლის ანგარიშები.

ამ ყრილობისთვის შემუშავებულია შემდეგი დღიური წესრიგი: 1. საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერაცია; 2. რწმუნებულთა კრებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება; 3. კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება; 4. მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება; 5. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 6. კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 7. კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა; 8. მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება; 9. სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება; 10. კავშირის წესდების გადასინჯვა; 11. საქართველოს კოოპერატიულ ბანკის გამგეობის მოხსენება; კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები და 13. მიმდინარე საკითხები.

პროფესიონალური ცხოვრება

ნოემბრის 7. დევდარიანის თავმჯდომარეობით შესდგა გაერთიანებული სხდომა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და პროფესიონალურ კავშირების ადგილობრივ საბჭოს სეკრეტარიატისა. განიხილეს საკითხი შრომის ბირჟის მოწყობის და მმართველობის შესახებ. ს. ზარეცკაიამ გააკეთა მოკლე მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც დაკალებული ქონდა გასცნობოდა ტფილისის შრომის ბირჟის მიერ წარდგენილ წესდებას შრომის ბირჟების შესახებ. ს. ზარეცკაიამ აღნიშნა, რომ შრომის ბირჟა უნდა იქნეს მუნიციპალური დაწესებულება და მას უნდა განაგებდეს პარიტეტულ ნიადაგზე არჩეული კომიტეტი. კომისიის მეორე წევრის ბერიშვილის აზრით შრომის ბირჟა უნდა იქნეს მხოლოდ მშრომელთა ნების გამომხატველი და უნდა დაარსდეს არა მუნიციპალიტეტებთან, არამედ პროფეს. კავშირებთან. საკითხის გარჩევის შემდეგ თათბირმა დაადგინა: 1) შრომის ბირჟა იქნეს მუნიციპალური, 2) შრომის ბირჟას განაგებდეს პარტიულ ნიადაგზე შემდგარი კომიტეტი, რომლებშიაც შევლენ: მუშათა, ქალაქთა, ერობათა და კერძო წარმოებათა წარმომადგენელები. თავმჯდომარეს ირჩევს ბირჟის კომიტეტი, შეუთანხმებლობის დროს კი შრომის სამინისტრო. ბირჟის კომიტეტი თავის მოქმედებაში ავტონომიურია. ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ კონტროლი გაუწიონ ბირჟის ფულის ანგარიშს. ამასთანავე განიხილეს ერთ-ერთი მუხლი შრომის ხელშეკრულების კანონისა, რომელიც აძლევს საშვალებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიიღონ მოსამსახურენი შრომის ბირჟის გარეშე. განიხილა რა ეს საკითხი თათბირმა სურვილი გამოსთქვა ამ მუხლის შეცვლის შესახებ. ცენტრალურ შრომის ბირჟის მოწყობის საკითხი შემდეგ სხდომისათვის გადაიდვა.

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“

ხ. ავალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს საკავშირო სამრეწველო ბანკისა.

II. ბანკის ოპერაციები.

§ 31. ბანკში დებულად შეტანილ ფულზე შეიძლება მარტოდ მარტო სახელობითი ბილეთები იქნას გაცემული. ეგ ბილეთები შეიძლება ერთის ხელიდან მეორეს ხელში გადავიდეს, იმ პირობით კი, რომ ზედ სრული წარწერა დაერთოს ბილეთის გადაცემის დროს—და თვით ბანკის დავთრებშიაც აღინიშნოს ეს გადაცემა.

§ 32. ბანკის ბილეთები დებულზე შეტანილი ფულისა მიიღება გირაოდ მთავრობის ყველა დაწესებულებასა და სახაზინო მართველობაში იმ ფასად, რა ფასიც დაწესებული იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ. ბანკის აქციებიც მიიღება გირაოდ იმავე დაწესებულებათა მიერ იმ ფასად, რომელსაც დააწესებს ფინანსთა მინისტრი.

III. მართველობა.

§ 33. ბანკის საქმეთა მართველობა მინდობილი აქვს გამგეობას და საბჭოს.

§ 34. ბანკის გამგეობა იმყოფება ქალ. ქუთაისში და შესდგება თავმჯდომარისა და არა ნაკლებ ორი წევრისგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება აქციონერებისა საბჭოს მიერ წარდგენილ პირთაგან სამი წლის ვადით.

§ 35. გამგეობის წევრად არჩეული მოვალეა თანამდებობის აღსრულების შედგომისთანავე წარუდგინოს ბანკს ორმოცდა ათი აქცია, რომელიც ინახება ბანკის კასაში იმ დრომდე, ვიდრე საზოგადო კრება აქციონერებისა დაამტკიცებს ანგარიშს იმ ხნის განმავლობაში, რა ხანსაც გამგეობის წევრი თანამდებობას ასრულებდა.

§ 36. საზოგადო კრების მიერ გამგეობის წევრად არჩეულნი ასრულებენ თავიანთ თანამდებობას სამი წლის განმავლობაში; პირველ სამ წელს თითო-თითო წევრი ანებებს თავს თანამდებობას ან ურთიერთ შორის თანხმობით ან წილის ყრით. შემდეგ ყოველ წლივ ანებებენ თავს სამსახურს ის წევრნი გამგეობისა, რომელთაც სამი წელი შეუსრულდებათ. ამ თანამდებობაში სამსახურს თავდანებებულნი შეიძლება ხელახლა იქნან არჩეულნი გამგეობის წევრად.

შენიშვნა: თუ მომატებულ იქნა რიცხვი გამგეობის ან საბჭოს წევრთა, საზოგადო კრებამ უნდა განსაზღვროს წესი მათი სამსახურიდან გამოსვლისა.

§ 37. თუ ვინიცობაა გამგეობის რომელიმე წევრმა თავი დაანება სამსახურს იმ ვადამდე, რა ვადით ის იყო არჩეული, მაშინ მის ადგილას, საბჭოს წარდგენით, ირჩევენ ახალ წევრს იმ ვადით, რა ვადაც დარჩა სამსახურიდან გასულს.

ხოლო, როგორც სამსახურს თავდანებებულ, ისე დროებით სადმე წასულ გამგეობის წევრის თანამდებობის ასრულება საბჭოს განკარგულებით ევალება (მიენდობა) ერთ-ერთ საბჭოს წევრს.

ანცხადებანი

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა მოსეს ასული საშენკოს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3572 3—2

დაიკარგა ღვინის ჩამოტანის ნებართვა № 3501, დავით თათულაშვილის სახელზე, მიღებული აქციზის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3601 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ალექსანდრეს ქუჩა № 32 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის არგუთინსკის მემკვიდრეებს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3607 3—1

დაიკარგა ნამსახურობის სია, პირველი საეტაპო ახალციხის გუნდის უფროსისგან, მეტრიკული ამონაწერი და სხვა საბუთები უფროსი ლეიტენანტი გიორგი ყარამანის ძე ჩარექოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3609 3—1

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2887 სოლომონ ტაბლიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3575 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მიღებული ახალქალაქის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა სიმონ დიმიტრის ძე ჯანანაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3578 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვლადიმერ ნესტორის ძე ჩხეიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ქსენია დიმიტრის ასული ჩხეიძისა, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1904 წ. უკვალოდ დაიკარგა 1913 წლიდან, რის გამო აღნიშნული ვლადიმერ ნესტორის ძე ჩხეიძე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული ქსენია დიმიტრის ასული ჩხეიძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადონ სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3573 3—2

დაიკარგა პურის გამომცხობთა კავშირის ორი საწევრო წიგნაკი ბარდოხ არაბიანის და პოღოს არაბიანის სახელზე, №№ 377 და 507 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3567 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 275 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ნესტორ გაბრიელის ძე მენაბდეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3566 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, ფედოსიევის ქ. № 29 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ლომიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3610 3—1

დაიკარგა ნამსახურობის სია 4 ხარისხის მოდელის გიორგი ტატარინცევის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3611 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბაკურციხის ერობის თემიდან, სარეგისტრაციო ბარათი, და მეტრიკა ივანე აბრამის ძე კიკონაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3612 3—1

დაიკარგა პასპორტი № 6718 გურგენ კარაპეტის ძე ტასალიანცის სახელზე, მიღებული სომხების ეროვნულ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3614 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა თოფის № 811278 ნებართვით, მიღებული 2 რაიონის გვარდიის შტაბადან, პურის და ნავთის ბარათები გალაქტიონ იოსების ძე მურუსიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3616 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანა ივანეს ასული და სხ. ბარათოვების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1884 წ. რეესტრის № 553. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3617 3—1

დაიკარგა ძველი სენაკის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ტარიელ ყარამანის ძე შელეგიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3600 3—1

დაიკარგა პასპორტი პეტრე გიორგის ძე კუპლევაცკის სახელზე, მიღებული ჩრდილოეთ კავკასიის ოლქების თავჯდომარესაგან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3608 3—1

დაიკარგა პასპორტი № 688 გაიკ კარაპეტის ძე მუსაიანცის სახელზე, მიღებული სამხედრო სამხედრო საკონსულოდან ტფილისში გაუქმებულად ჩაითვალოს. 3604 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვლადიმერ აბრამის ძე ანთელავას სახელზე მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების კანცელარიიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3605 3—1

აღბულაღის ტყის გამგე აცხადებს,

რომ 21 ნოემბერს 1920 წელს დღის 12 საათზე

სოფ. აღბულაღში აღბულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

საშეშე და საფიჩხე ტყეზე აგარ. „ორმთაშუიდან მარჯვენა-ალჯეთის დაბისა სივრცით 14 დესეტინა ტყეს 116,05 კუბიკური საჟენი რომელიც დაფასებულია 40382 მან. 66 კაპ. და 133 ფიჩხისა დაფასებული 14364 მან.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება აღბულაღის ტყის გამგის სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდი ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—3

აღბულაღის ტყის გამგე აცხადებს,

რომ 28 ნოემბერს 1920 წელს დღის 12 საათზე.

სოფ. აღბულაღში აღბულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

საშეშე და სამასალო ტყეზე პრიუტის დაბიდან აღბულაღის სატყეოსი გაიყიდება ოთხი დესეტინა ტყე 132,96 კუბიკური საჟენი დაფასებული 105242 მან. 37 კაპ.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება აღბულაღის ტყის გამგის სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდის ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—3

აღბულაღის ტყის გამგე აცხადებს,

რომ 1920 წელს ნოემბრის 14-ს.

სოფ. აღბულაღში აღბულაღის თემის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

500 მუხის და 500 წიფლის ხეებზე დაბეჭდილი და დანუმრული აგარაკ. „დრანეთში“, „ჯიგრაშენში“, „გუდარეხში“, „ლორისთავში“ და „ციხნარში“, დაფასებული 418531 მან. 56 კაპ.

ყოველ გვარი ცნობების მიღება შეიძლება აღბულაღის ტყის გამგეს სამმართველოში 9 საათიდან 2 საათამდის ყოველ დღე გარდა კვირისა.

3577 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი